



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030185851995215

17 / სექტემბერი / 2015 წ.

№ 01-276/ო

**„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ზოგიერთი ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციის წესისა და რეგისტრაციისთვის საჭირო განაცხადის ფორმის დამტკიცების თაობაზე**

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N138 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. დამტკიცდეს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N138 დადგენილების დანართი 1.2 (ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა), დანართი 1.5 (დღის ცენტრების ქვეპროგრამა), დანართი 1.8 (დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა), დანართი 1.10 (მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა), დანართი 1.11 (მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა), დანართი 1.12 (სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა) და დანართი 1.13-ით (მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა) გათვალისწინებული ქვეპროგრამებით განსაზღვრული მომსახურებების მიმწოდებელთა რეგისტრაციის თანდართული წესი (დანართი N1).


2. დამტკიცდეს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N138 დადგენილების დანართი 1.2 (ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა), დანართი 1.5 (დღის ცენტრების ქვეპროგრამა), დანართი 1.8 (დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა), დანართი 1.10 (მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა), დანართი 1.11 (მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა), დანართი 1.12 (სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა) და დანართი 1.13-ით (მძიმე და ღრმა გონებრივი

განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა) გათვალისწინებული ქვეპროგრამებით განსაზღვრული მომსახურებების მიწოდების მსურველთა განაცხადის ფორმა და განაცხადის შევსების წესი (დანართი N2).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ზოგიერთი ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციის წესისა და რეგისტრაციისთვის საჭირო განაცხადის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 აპრილის №01-120/ო ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი



ზაზა სოფრომაძე

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №138 დადგენილების დანართი 1.2 (ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა), დანართი 1.5 (დღის ცენტრების ქვეპროგრამა), დანართი 1.8 (დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა), დანართი 1.10 (მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა), დანართი 1.11 (მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა), დანართი 1.12 (სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა) და დანართი 1.13-ით (მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა) გათვალისწინებული ქვეპროგრამებით განსაზღვრული მომსახურებების მიმწოდებელთა რეგისტრაციის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი ადგენს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №138 დადგენილების დანართი 1.2 (ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა), დანართი 1.5 (დღის ცენტრების ქვეპროგრამა), დანართი 1.8 (დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა), დანართი 1.10 (მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა), დანართი 1.11 (მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა), დანართი 1.12 (სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა) და დანართი 1.13-ით (მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა) გათვალისწინებული ქვეპროგრამებით განსაზღვრული მომსახურებების მიმწოდებელთა რეგისტრაციის პირობებსა და პროცედურებს.

2. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სამინისტრო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ბ) სააგენტო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო;

გ) მიმწოდებელი - „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №138 დადგენილების დანართი 1.2 (ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა), დანართი 1.5 (დღის ცენტრების ქვეპროგრამა), დანართი 1.8 (დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა), დანართი 1.10 (მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა), დანართი 1.11 (მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა), დანართი 1.12 (სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა) და დანართი 1.13-ით (მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის

ქვეპროგრამა) გათვალისწინებული ქვეპროგრამებით განსაზღვრული მომსახურებების მიმწოდებლები.

## **მუხლი 2. მიმწოდებლის რეგისტრაცია**

1. მიმწოდებლის რეგისტრაციას, ახორციელებს სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი.

2. მიმწოდებლად რეგისტრაციის მსურველი იურიდიული პირის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მომსახურების გაწევის ადგილის ფიზიკური გარემოს მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მიმართვიდან 20 სამუშაო დღის ვადაში სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის პროგრამების მონიტორინგის სამმართველო ახორციელებს მიმწოდებლის მისამართზე გასვლას, ამზადებს შესაბამის დასკვნას და უგზავნის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს.

3. მიმწოდებლის რეგისტრაცია მოიცავს სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიერ რეგისტრაციისათვის ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით და ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №2-ით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღებას, დოკუმენტაციის ამ წესით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობის დადგენას, მიმწოდებლად რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას და მიღებული დადებითი გადაწყვეტილების შესახებ სააგენტოსა და მიმწოდებლის ინფორმირებას, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მიმწოდებლის ინფორმირებას.

4. რეგისტრაციის მსურველმა პირმა სამინისტროში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მომსახურე ბანკის მიერ გაცემული ცნობა საბანკო რეკვიზიტების შესახებ (საბანკო დაწესებულების დასახელება, ბანკის კოდი, ანგარიშის ნომერი);

ბ) „დღის ცენტრების ქვეპროგრამის“, „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“, „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“, „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის“, „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის“ და „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ დღის ცენტრის მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირების სურვილის შემთხვევაში, რეგისტრაციის მსურველმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:

ბ.ა) იმ ქონების საკუთრების ან იმ ქონებით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი საბუთი, სადაც უნდა განხორციელდეს/ხორციელდება მომსახურების გაწევა, გარდა, „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის“ მომსახურების მიწოდების მსურველი პირისა;

ბ.ბ) შესაბამისი შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი, ფართების კვადრატულობისა და მიზნობრიობის მითითებით, გარდა, „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის“ მომსახურების მიწოდების მსურველი პირისა;

ბ.გ) მომსახურების განხორციელების კონკრეტული გეოგრაფიული არეალი (მხოლოდ „დღის ცენტრის“, „ბავშვთა ადრეული განვითარების“, „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის“ მომსახურებების შემთხვევაში);

ბ.დ) სამუშაო საათები (მხოლოდ დღის ცენტრის შემთხვევაში);

ბ.ე) სამტატო პერსონალის სრული რაოდენობა და ჩამონათვალი;

ბ.ვ) პროგრამის პირობების შესრულების უზრუნველყოფის ფინანსური დასაბუთება: ყოველთვიური მოსალოდნელი შემოსავლების ოდენობა და წყარო/წყაროები, ასევე ყოველთვიური ხარჯების სტრუქტურა (ხელფასები, კომუნალური გადასახადები, კვების ხარჯი, მედიკამენტების და ჰიგიენური საშუალებების ხარჯი, ტრანსპორტირების ხარჯი, სამეურნეო ხარჯი, საიჯარო ქირა, სხვა ხარჯი).

გ) „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამისა“ და „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ სადღეღამისო მომსახურების (საადმინისტრაციო საქმიანობა) მიმწოდებლად რეგისტრაციის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს საადმინისტრაციო საქმიანობის სალიცენზიო მოწმობისა და შემოწმების აქტის ამონაწერის ასლები;

დ) „დღის ცენტრების ქვეპროგრამის“ მიმწოდებლად რეგისტრირების სურვილის შემთხვევაში, რომელიც ემსახურება 6-დან 18 წლამდე ასაკის მიმღე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების და ქცევითი დარღვევების შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს, ასევე, „მიმღე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის“ რეგისტრაციის მსურველმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ:

დ.ა) შემდეგი სპეციალისტების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

დ.ა.ა) **განვითარების სპეციალისტი** - უმაღლესი განათლება პედაგოგიკაში. მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება შშმ ბავშვების მომსახურების სფეროში;

დ.ა.ბ) **ფსიქოლოგისთვის** - უმაღლესი განათლება ფსიქოლოგიაში, რომელსაც გავლილი აქვს „ქცევის გამოყენებითი ანალიზის“ კურსი. მინიმუმ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება შშმ ბავშვების მომსახურების სფეროში;

დ.ა.გ) **ოკუპაციური თერაპევტი** - უმაღლესი განათლება სპეციალობაში. 2 წლიანი გამოცდილება შშმ ბავშვების მომსახურების სფეროში. სენსორული ინტეგრაციის პროგრამის ცოდნა.

ე) ამ ბრძანებით დამტკიცებული განაცხადის ფორმა (დანართი N2).

5. მიმწოდებლად რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით და ამ ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა.

6. პირის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიმწოდებელსა და სააგენტოს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში. რეგისტრაციის/რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, რომელიც თანხმდება კურატორ მინისტრის მოადგილესთან.

7. რეგისტრაციის მოქმედების ვადა განისაზღვრება შესაბამისი წლის სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ვადით, თუ ამ პროგრამით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

8. რეგისტრაციის მსურველი პირის მიერ მომსახურების გაწევისათვის საჭირო შენობა-ნაგებობით/ნაგებობებით ფლობის ან სარგებლობის უფლების ვადა განისაზღვროს არანაკლებ რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანიდან 1 წლის ვადით.

9. რეგისტრირებული პირი ვალდებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტითა და ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №2-ით გათვალისწინებული დოკუმენტაციით წარმოდგენილ მონაცემებში განხორციელებული ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს, ხოლო მომსახურების განხორციელებასთან და მიმწოდებლის მიმართ სახელმწიფოს მიერ შესასრულებელ ვალდებულებებთან დაკავშირებულ მონაცემებში განსახორციელებელ ცვლილებებზე აცნობოს სამინისტროს, ცვლილების განხორციელებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

10. მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ, მომსახურების გაწევის მისამართის ცვლილების შემთხვევაში, ორგანიზაცია, სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტს წარუდგენს ახალ განაცხადსა და რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტებს, რათა ამ წესის შესაბამისად განხორციელდეს მისი ხელმეორედ რეგისტრაცია ახალ მისამართზე. ორგანიზაციის ხელმეორედ რეგისტრაციამდე მიმწოდებელი ორგანიზაცია აგრძელებს მომსახურების მიწოდებას ძველ მისამართზე.

### **მუხლი 3. რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი**

რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველებია:

ა) ამ დანართის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით და ამ ბრძანების №2 დანართით გათვალისწინებული დოკუმენტების არასრულად ან არასრულყოფილად წარმოდგენა;

ბ) ამ დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მომზადებული უარყოფითი დასკვნა;

გ) წარდგენილი ინფორმაციის შეუსაბამობა სახელმწიფო პროგრამით და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

დ) მომსახურების განხორციელების სურვილი იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, რომელიც არ არის გათვალისწინებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №138 დადგენილების შესაბამისი ქვეპროგრამით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა ჩამონათვალში, გარდა ამ პროგრამით დამტკიცებული N1 დანართის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) მოვალეთა რეესტრში რეგისტრირება;

ვ) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ყადაღა/აკრძალვის რეგისტრირება;

ზ) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაციის საქმისწარმოება;

თ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში რეგისტრირება.

ი) რეგისტრაციის მსურველ პირს, რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველების აღმოფხვრის შემდგომ უფლება აქვს რეგისტრაციის თაობაზე სამინისტროში განმეორებით

წარადგინოს მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით და ამ ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

#### **მუხლი 4. რეგისტრაციის გაუქმება**

1. გადაწყვეტილება მიმწოდებლის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მიიღება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ (სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი). მიმწოდებლის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც თანხმდება კურატორ მინისტრის მოადგილესთან.

2. რეგისტრირებული მიმწოდებლის რეგისტრაცია უქმდება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №138 დადგენილებითა და ამ ბრძანებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

3. რეგისტრირებული მიმწოდებლის რეგისტრაცია უპირობოდ უქმდება მის მიერ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მარეგისტრირებელი ორგანოსათვის წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, არა უადრეს მიმართვის თვის ბოლო დღისა და არა უგვიანეს 31-ე კალენდარული დღისა. ამასთან, რეგისტრირებული მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი მომსახურების მიწოდება რეგისტრაციის გაუქმებამდე, ასევე, ბენეფიციართა გაფრთხილება შესაბამისი მომსახურების მიწოდების შეწყვეტის დაგეგმილი თარიღის თაობაზე მარეგისტრირებელ ორგანოში განცხადების წარდგენისთანავე.

4. მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია გააუქმოს რეგისტრირებული მიმწოდებლის რეგისტრაცია ამ მიმწოდებლის მიერ შესაბამისი სტანდარტებისა და მომსახურების პირობათა ისეთი დარღვევების შემთხვევაში, როდესაც მომსახურება ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების იმგვარ განხორციელებას და ბენეფიციართა მომსახურებას, რომლის შედეგად შეუძლებელი ხდება პროგრამით გათვალისწინებული ამოცანების შესრულება/მიღწევა.

5. რეგისტრაციის გაუქმება შეიძლება განხორციელდეს მომსახურების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციების უგულებელყოფის/შეუსრულებლობის შემთხვევაში.

6. რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს დანართის №1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის „ა-თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები.

7. პირისათვის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიმწოდებელსა და სააგენტოს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

განაცხადის ფორმა

გთხოვთ, დაარეგისტრირდეთ \_\_\_\_\_

(ორგანიზაციის დასახელება)

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №138 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის“ შემდეგი ქვეპროგრამის მიმწოდებლად

“✓” ნიშნით მიუთითეთ შესაბამისი ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციაზე თანხმობა. არასრულად, შეცდომებით ან/და კორექტირებული (გადახაზული) მონაცემებით შევსებული ფორმა არ მიიღება.		
<b>1. დღის ცენტრების ქვეპროგრამა</b>		
1.1. 6-18 წ. ასაკის შშმ ბავშვის სტატუსის არმქონე პირების მომსახურება რაოდენობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2. 6-18 წ. ასაკის შშმ ბავშვის სტატუსის მქონე პირების მომსახურება	<input type="checkbox"/>	რაოდენობა <input type="checkbox"/>
1.3. 18 წ. და მეტი ასაკის შშმ პირების მომსახურება	<input type="checkbox"/>	რაოდენობა <input type="checkbox"/>
1.4. 6-18 წ. ასაკის მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები	<input type="checkbox"/>	რაოდენობა <input type="checkbox"/>
<b>2. მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა</b>		
მცირე საოჯახო ტიპის სახლების რაოდენობა	<input type="checkbox"/>	
ერთ მისამართზე რამდენიმე სახლის არსებობის შემთხვევაში ბენეფიციართა რაოდენობა თითოეულ სახლში	<input type="checkbox"/>	
	<input type="checkbox"/>	
	<input type="checkbox"/>	
	<input type="checkbox"/>	
	<input type="checkbox"/>	
<b>3. სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა</b>		
3.1. შშმ პირთა მომსახურება	<input type="checkbox"/>	რაოდენობა <input type="checkbox"/>
3.2. ხანდაზმულთა მომსახურება	<input type="checkbox"/>	რაოდენობა <input type="checkbox"/>
<b>4. ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა</b>	რაოდენობა	<input type="checkbox"/>
<b>5. დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა</b>	რაოდენობა	<input type="checkbox"/>
<b>6. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა</b>		
6.1. დღის ცენტრის მომსახურება	<input type="checkbox"/>	რაოდენობა <input type="checkbox"/>
6.2. კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრის მომსახურება	<input type="checkbox"/>	რაოდენობა <input type="checkbox"/>
6.3. ტრანზიტული ცენტრის მომსახურება	<input type="checkbox"/>	რაოდენობა <input type="checkbox"/>
<b>7. მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა</b>	<input type="checkbox"/>	რაოდენობა <input type="checkbox"/>



**მიწოდების რეკვიზიტები**

მითითებული მონაცემები გამოყენებული იქნება პროგრამის ფარგლებში ოფიციალური ურთიერთობებისათვის

**განმცხადებელი ორგანიზაციის სრული დასახელება**

**საიდენტიფიკაციო კოდი**

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

**ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა**

**იურიდიული მისამართი (ქალაქი/მუნიციპალიტეტი/მისამართი)**

**მომსახურების მიწოდების ადგილის მისამართი (ქალაქი/მუნიციპალიტეტი /მისამართი)**

**საკონტაქტო ტელეფონები**

**ელექტრონული ფოსტა**

წარმოდგენილი განაცხადით ვადასტურებთ ჩვენი ორგანიზაციის მიერ მითითებული ქვეპროგრამის ფარგლებში შესაბამისი მომსახურების მიწოდების სურვილს და გამოვთქვამთ მზადყოფნას შევასრულოთ მოქმედი სახელმწიფო პროგრამითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები

**ორგანიზაციის სრულუფლებიანი**

სახელი, გვარი:

**პირადი ნომერი**

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

\_\_\_\_\_  
ხელმოწერა

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

  
თარიღი (რიცხვი, თვე წელი)

## განაცხადის ფორმის შევსების წესი

გთხოვთ, ფორმა შეავსოთ გარკვევით და სრულად, დადგენილი წესის შესაბამისად.

1. განაცხადის შევსებამდე ყურადღებით გაეცანით „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №138 დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამას და შესაბამისი მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს.
2. განაცხადის შევსებისას სავალდებულოა თითოეულ გვერდზე არსებული შესაბამისი ველის შევსება გარკვევით და სრულად.
3. განაცხადში წარმოდგენილი საკონტაქტო ინფორმაცია შემდგომში გამოყენებული იქნება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ოფიციალური ურთიერთობებისთვის.
4. განაცხადის შესაბამის გრაფაში, სავალდებულოა შესაბამისი ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციაზე თანხმობა აღნიშნოთ „✓“ ნიშნით, ხოლო გვერდით გრაფაში ბენეფიციართა სასურველი რაოდენობა.
5. თუ მიმწოდებლად დარეგისტრირების მსურველს სურს რამდენიმე ქვეპროგრამის მიმწოდებლად დარეგისტრირება ან მომსახურების რამდენიმე მისამართზე განხორციელება, მაშინ ყოველ ასეთ შემთხვევაზე ვალდებულია წარმოადგინოს დამოუკიდებელი განაცხადი და დოკუმენტაცია.
6. სავალდებულოა განაცხადი დამოწმებული იყოს ხელმოწერით.